

1001

№1-673

10.06.09

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს  
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების  
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და  
მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის  
უფროსის მოადგილეს,  
ბ-ნ ზურა ბეჟანაშვილს

ბატონო ზურა,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი ა.წ. 1 ივნისის #04-7-05/1027 წერილით მოწოდებული ინფორმაციის გამო და მასთან დაკავშირებით გვინდა გაცნობით შემდეგი:

როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწიფო სტანდარტი სსტ 16-96 არ წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტს – მეწარმე სუბიექტებს უფლება აქვთ პროდუქციის წარმოებისას სხვა სტანდარტებით იხელმძღვანელონ. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სსიპ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული რიგი მეწარმე სუბიექტის სტანდარტებით დაშვებულია არაჟნის დასამზადებლად მცენარეული ცხიმის გამოყენება (იხ. თანდართული სტანდარტები: მსტ 20446152-017-03 "არაჟანი" და მისი №1, 2 და 3 ცვლილება; მსტ 20769010-001-2006 "არაჟანი" "ჯორჯიან-ეკო"; მსტ 20630602-009-2004 "არაჟანი" "ნიკორა" და მისი ცვლილება №1), რაც სახელმწიფო სტანდარტი სსტ 16-96-ით სრულებით დაუშვებელია.

აქვე გვინდა მოგაწოდოთ ჩვენს მიერ ა.წ. 23 მარტს მადაზია "გუდვილში" შექმნილი 8 სხვადასხვა დასახელების არაჟნის გაზომვის შედეგები, რომლის მიხედვით რძის ცხიმების წილი პროდუქტის ცხიმებში 2%-დან 80%-მდე მერყეობდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყველა ტიპის არაჟნის დამზადებისას იყო გამოყენებული რაღაც სხვა, სავარაუდოდ მცენარეული ცხიმი (იხ. თანდართული: არაჟნის შექმნის დამადასტურებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურა და მისი დანართი, ლაბორატორიაში არაჟნის 8 ნიმუშის ჩაბარების განაცხადი და ლაბორატორიის დასკვნა). განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ შექმნილი და გაზომილი იყო არა მხოლოდ იმ ფირმების წარმოებული არაჟნები, რომლებიც ზემოთ მითითებული მეწარმე სუბიექტების სტანდარტებით ხელმძღვანელობენ (ანუ ფირმები "სანტე", "ეკო-ფუდი" და "ნიკორა") არამედ სხვა ფირმის არაჟნებიც, რომელთა ნაწილი სსტ 16-96-ით ხელმძღვანელობს (შპს-ები "ამალთეა" და "სისტა-ქართული პროდუქტი", რომელიც არაჟან "ქობულეთურს" აწარმოებს), ნაწილს კი მისი მეწარმე სუბიექტის სტანდარტით მცენარეული ცხიმის დამატების უფლება არ

აქვს (შპს "სანდო", იხ. თანდართული მისი მსტ 20668390-002-2003 და მისი ცვლილება №1, 2). როგორც ლაბორატორიული დასკვნიდან ჩანს, ჩვენს მიერ გაზომილი არც ერთი არაჟანი არ წარმოადგენდა ნამდვილ არაჟანს.

ამავე დროს, როგორც თქვენს წერილშია აღწერილი, თქვენი უწყების მიერ სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა არაჟანში მცენარეული ცხიმის არსებობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და პროდუქტ "არაჟანს" მხოლოდ იმ მაჩვენებლებზე იკვლევს, რომელიც სახელმწიფო სტანდარტი სსტ 16-96-ით არის გათვალისწინებული, როგორც ჩვენმა გაზომვებმა აჩვენა, ეს გარემოება არაკეთილსინდისიერ მეწარმეებს საშუალებას აძლევს მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანონ და არაჟანის ნაცვლდად ბაზარზე მცენარეულ ცხიმზე დამზადებული პროდუქტები გამოიტანონ. ამაში მათ სსიპ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოც ეხმარება, რომელმაც რიგ მეწარმეებს მომხმარებლის ამგვარი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა მეწარმე სუბიექტის სტანდარტის სახით დაუმტკიცა კიდევ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გთხოვთ:

1. შეამოწმეთ გასაყიდ ქსელში გამოტანილ არაჟანებში მცენარეული ცხიმების შემცველობა; სასურველია ასეთი გაზომვები სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო ლაბორატორიული კვლევის ნაწილი გახდეს.
2. მოსთხოვთ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გააუქმოს მეწარმე სუბიექტის იმ სტანდარტების რეგისტრაცია, რომლებიც არაჟანის დასამზადებლად მცენარეული ცხიმის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს, ვინაიდან ასეთი გზით მიღებული პროდუქტი აღარ არის არაჟანი და ამ დასახელებით მის გაყიდვას მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს.

გთხოვთ გვაცნობოთ ამ წერილზე რეაგირების შესახებ.

საკონტაქტო პირი: ქეთი კაკაბაძე

დანართი: გვ. 73

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე

ადმასრულებელი დირექტორი

ვადასტურებ, რომ ბ. შ. 11 06 09 ჩაწიბარე  
(წერილის მიღების თარიღი)

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

წერილი № 1-673 გამოგზავნის თარიღი 10 06 09

წერილი რეგისტრაციაში გატარდა და მისი № \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

მიმღები ორგანიზაცია იხილ. ყვებულის, ვი. შ. შიშინაძე, ქ. თბილისი

მიმღების თანამდებობა \_\_\_\_\_

მიმღების გვარი იხილ. იხილ. შიშინაძე

მიმღების ხელმოწერა ბ. შ.

